

გერმანიური და ლათინურიდან მომდინარე სიტყვათა დანაწილება ქართულში

საკითხი ეხება გერმანიულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვათა ქართულად გადმოცემის დროს ბგერითი მხარის მოგვარების საქმეს. ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში გვხვდებოდა და იშვიათად ახლაც გვხვდება პარალელური ფორმები:

ლოგია—ლოჯია
ტრაგული—ტრადიული
ესტეტიკა—ესტეტიკა
ტერმინი—ტერმინი
ფსიქოლოგია—ფსიხოლოგია
ტექნიკა—ტექნიკა
ჰეგემონია—გეგემონია
ჰიპნოზი—გინპოზი
გენიოსი—ჰენიოსი
ლექსიკონები—ლექსიკონები
ემპირიული—ემპირიული და სხვ.

იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ ამ პარალელური ფორმებისაგან რომელს უნდა მიეცეს უპირატესობა, ანგარიში უნდა გაეწიოს შემდეგ სამ გარემოებას:

- 1) რომელი ფორმა უფრო სწორია იმ ენის მიხედვით, საიდანაც ესა თუ ის სიტყვა მომდინარეობს;
- 2) რომელი ფორმა არ ეწინააღმდეგება ქართული ენის ნორმებს;
- 3) რომელი ფორმა დღევანდელ სამწერლობო ენაში გაბატონებული.

1. ქ თუ ხ?

იმ სიტყვებში, რომლებიც ამჟამად იპყრობს ყურადღებას, გვხვდება ერთი ბგერა, რომელსაც დავალებული აქვს გადმოგვეცეს გერმანიული *ch*, ლათინური *ch*, რუსული *х*. ასეთ სიტყვებში გერმანიული და (მასთან ერთად) ლათინურიც თავიანთი სალიტერატურო ენის განვითარების ძველ პერიოდში და უფრო გვიან სასაუბრო მეტყველებაშიც ხმარობდა ქ-ს და არა ხ-ს. ძველმა ქართულმა სალიტერატურო ძეგლებმა შემოგვინახეს აუარებელი ნიმუში *ch*-ს ასეთი გადმოცემისა; **შიქაელი**, **ანტიოქელი**, **აქილიანი**, **ქრისტე**, **ქორონიკონი** და სხვ. ქართულმა სასაუბრო მეტყველებამაც კარგად შეითვისა ასეთი გამოთქმა; ეს ჩანს იქიდან, რომ

დღესაც ვხმარობთ რამდენსამე ისეთ სიტყვას, რომლებშიც ქ მიგვანია სრულიად ბუნებრივად და არა ხ. ასეთი სიტყვებია: მალაქია (და არა მალახია), ქრისტიანი (და არა ხრისტიანი), ქარაგმა, სტომაქი, სტიქიონი, ბოქლომი.

ენიდან ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვებში χ-ს გადმოსაცემად ძველმა ქართულმა სალიტერატურო ენამ ბუნებრივად გამოიყენა ქ და ახალმა ქართულმა სალიტერატურო ენამ და სასაუბრო მეტყველებამაც შეინარჩუნა ეს ქ, ყველგან ასეთ შემთხვევაში უნდა დარჩეს ქ-ს წერა. ამის მიხედვით გვაქვს და დარჩება:

არქაიზმი	ტექნიკუმი
არქაული	ტექნიკური
არქეოლოგია	ტექნოლოგია
არქიმედე	ტრიკინა
არქიტექტურა	ფსიქიკა
ბრაქიცეფალური	ფსიქიკური
ბრონქები	ფსიქოლოგია
ბრონქიალური	ქლორი
ეპინოკოკი	ქოლერა
იქთიოზაფრი	ქოლერიკული (ტიბი)
იქთიოლოგია	ქორდა
პოლიტექნიზაცია	ქრესტომათია
პოლიტექნიკური	ქროზანთემა
სპიროქეტა	ქრონიკა
სტიქიური.	ქრონოლოგია...
ტექნიკა	

მაგრამ ხ დარჩება საკუთარ სახელში, ხარიტონი.

2. თ თუ ტ?

თ-სა და ტ-ს წერისას მეტი შეცდომაა მოსალოდნელი, ვიდრე ქ-ს წერისას. მაშინ, როდესაც ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვებში ჩვენ მხოლოდ ქ გვხვდება, რადგანაც ძველ ბერძნულსა და ლათინურს ხ არა ჰქონიათ, ქართულში ამ ენებიდან შემოსულ სიტყვებში თ და ტ ორივეა მოსალოდნელი, რადგანაც ამ ენებს ერთიც ჰქონდათ და მეორეც (ჰ და ტ). რუსულ ენაში (ისევე, როგორც გერმანულსა და ფრანგულშიც) ეს ორივე ბგერა ბერძნულ-ლათინურისა ერთნაირად გამოითქმის; წერისას გერმანულსა და ფრანგულში თ-ს წერენ th-ით, ტ-ს t-თი, ხოლო რუსულს ორივე ბგერის გადმოსაცემად მხოლოდ ერთი т მოეპოვება. მართა ძველი რუსული განასხვავებდა წერისას მათ: ჰ-სათვის ჰქონდა th, ხოლო ტ-ისათვის т. როგორც ძველს, ისე ახალ ქართულში ორივე ამ ბერძნულ-ლათინური ბგერის გადმოსაცემად ორი განსხვავებული ნიშანი მოიპოვებოდა და მოიპოვება: თ და ტ.

ენიდან ქართულისათვის ბუნებრივია თ-სა და ტ-ს გარჩევა, ყველა ის ბერძნული და ლათინური სიტყვა, სადაც თ არის, თ-თი უნდა გადმოიკვს ქართულში და არა ტ-თი, ხოლო, როცა ბერძნულ-ლათინურში ტ არის, ასეთი სიტყვა ქართულშიც ტ-თი უნდა იწერებოდეს და არა თ-თი.

ამის მიხედვით ქართულში თ იწერება და უნდა დარჩეს სიტყვებში:

ათვისტი	თეორემა
ანთოლოგია	თეორია
ანთროპოლოგია	თერაპია
ანთროპომეტრია	თერმოსი
ანთროპომორფიზმი	თერმოდინამიკა
ანტითეზისი	თერმომეტრი
აპათია	კათეტი
არითმეტრიკა	კათოდი
ბიბლიოთეკა	ლითონი
დითირამბი	ლოგარითმი
ეთერი	მათემატიკა
ენტოზიასტი	პათოლოგია
ეპითელიუმი	სიმპათია
ეპითეტი	სიმპათიკური
ერიტროციტები	სინთეზი
ესთეტიკა	ფიზიოთერაპია
თეატრი	ფილანთროპია
თეზისი	ფიტოპათოლოგია
თემა	ფსიქოპათი
თეოლოგია	ფსიქოპათოლოგია...
თეოფილე	

ტ იწერება და უნდა დარჩეს სიტყვებში:

ატომი	ოლონტოლოგია
ატროფია	ონტოლოგია
ეტიოლოგია	ტავტოლოგია
კატალოგი	ტელეოლოგია
კატალიზი	ტელეგრაფი
კატაპლექსია	ტელეფონი
კატასტროფა	ტერმინი
კატეგორია	ტერორი
კლიმატური	ტიფი
მეტაფიზიკა	ფოტოგრაფია...

ქართულში უნდა გაირჩეს ორი სიტყვა: რითმა და რიტმი. ეს გარჩევა ქართულში დამკვიდრდა და გაბატონდა რუსული ენის მიხედვით (ритма და ритм).

ამგვარადვე უნდა მოგვარდეს თ-სა და ტ-ს წერის საკითხი იმ სიტყვებშიც, რომლებიც ბერძნულიდან და ლათინურიდან კი არ მომდინარეობენ, არამედ გერმანულიდან და ფრანგულიდან. დღეს გერმანული და ფრანგული თითქმის აღარ განასხვავებენ გამოთქმაში თ-სა და ტ-ს, ძველად კი ასეთი განსხვავება არსებობდა. ამჟამად ფრანგულში ორსავე შემთხვევაში გამოითქმის დაახლოებით ტ, ხოლო გერმანულში თ. დაწერილობაში კი ორივემ შეინარჩუნა განსხვავება: th და t. ვინაიდან ან მხოლოდ ქართულში თ, ან მხოლოდ ტ ზედმიწევნით არ ვად-

მოგვეცემს გერმანულსა და ფრანგულ ბგერებს, ამიტომ ლოგიკურია დამყარება გერმანულსა და ფრანგულ დაწერილობაზე და *th* თ-თი უნდა გადმოიცეს, ხოლო *t* ტ-თი.

მაშასადამე, უნდა ვიხმაროთ: **ბატალიონი, ბატარეა, ბეტონი, ერფურტი, ეტაპი, ეტიკეტი, ვირტუოზი, ვიტრინა, კაზინეტი, მაგრამ: გოთა, დოროთეა** და სხვა.

3. § (h)

ბერძნულში *h* იყო ხორხისმიერი ბგერა, რომლის გადმოსაცემად საგანგებო ასო არ მოიპოვებოდა, რომელი გრამატიკოსები *h*-ს გამომხატველ ასოს არც კი უწოდებდნენ ასოს (*littera*), არამედ მხოლოდ ნიშანს ეძახოდნენ: *nota aspirationis*. სიტყვის დასაწყისში, ანლაუტში, ის სუსტად მოისმოდა, ხოლო ინლაუტში იმდენად დასუსტდა, რომ სულ დაიკარგა.

საშუალო ბერძნულში § გაქრა და ამის შედეგია უთუოდ, რომ ძველი ქართული მეტწილად არც კი გადმოგვეცემს სათანადო შემთხვევებში §-ს.

ამის გამოა, რომ გვხვდება

ელადა (და არა **ჰელადა**)
ელიხპონტო (და არა **ჰელიხპონტო**)
ერში (და არა **ჰერში**)
ეფესტოს (და არა **ჰეფესტოს**).

მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც § გვაქვს: **ჰეროდე, ჰროში**.

პირველი შეიძლება ბერძნულიდან გადმოსული ერთი უძველესი სიტყვა იყოს ქართულში, ხოლო მეორის § მწიგნობრული გზითაა აღბათ შემოსული.

რუსულს § ბგერა და, მაშასადამე, არც შესაბამისი ნიშანი არ მოეპოვებოდა. ამიტომ ბერძნულ-ლათინურიდან მომდინარე სიტყვებში *h* *r*-თი გადაიღო (გამოითქმის კი ზოგჯერ როგორც *ლ*).

• ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვებში *h* ბგერის გადმოსაცემად ქართულში გვაქვს და დარჩება §. მაშასადამე, იქნება:

აბჰეხი	ჰიდრავლიკა
ჟაჰეხი	ჰიდროლოგია
კონტრაჰენტი¹	ჰიმნი
რიონჰეხი	ჰიპნოზი
ჰალუცინაცია	ჰიპოთეზა
ჰეგემონია	ჰიპოტენუზა
ჰიბრიდი	ჰონორარი
ჰიგიენა	ჰუმანიზმი...

ეგვეე წესი დარჩება ძალაში ინგლისური და გერმანული სიტყვების გადმოცემისას. სადაც ინგლისურ და გერმანულ სიტყვას *h* აქვს, ქართულშიც § უნდა იხმარებოდეს და არა *გ*. მაშასადამე, იქნება:

¹ ლათინურისაგან *contraho*, ხოლო აგენტო ლათინურისაგან *ago* (*agens*).

აბდერშალდენი
 მანჰაიმი
 რაინჰარტი
 შალსტუხი
 შამბურგი

შანოვერი
 შამილტონი
 შანზა
 შილზები
 შოფმარშალი და მისთ.

მაგრამ გვეჩვენება გერცენი და არა შერცენი. მიუხედავად იმისა, რომ ამ გვარს გერმანული ეტიმოლოგია აქვს, მისთვის ამოსავალი რუსული ფორმა Герцен.

4. გ თუ ღ?

გ-ს გადმოცემისას ქართულში წინათ (მაგ., XIX საუკუნეში) ღიდი არევიდარევა იყო; წერდნენ „ღრამატიკა“-ს, „კატილორია“-ს, „ლოლიკა“-ს, „ტრადელია“-ს და სხვ. ღღეს გ-ს გადმოცემის საქმე მოწესრიგებულია. ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე ო-ს ან ფ-ს შემცველი ყველა სიტყვა იწერება უკვე გ-თი, მაგრამ აქა-იქ მაინც აქვს ადგილი ერთგვარ რეციდივს; მაგ., ზოგიერთები მაინც წერენ ისეთ ფორმებს, როგორცაა: ლოლიკა, ტრადიკული და ა. შ.

ბერძნული ო სხვადასხვა პოზიციაში სხვადასხვაგვარად გამოითქმოდა. ერთ ბგერას გადმოსცემდა იგი ო და ე ხმოვანთა წინ, ხოლო სულ სხვას დანარჩენ შემთხვევებში. ო და ე ხმოვანთა წინ ის ისეთი ბგერა იყო, რომ ქართულმა ყველაზე მიზანშეწონილად დაინახა მისი გადმოცემა გ-თი (და ძველთაგანვე ცნობილია ასეთი სიტყვები: გიორგი, გერონტი, მაგისტროსი...). სხვა შემთხვევებში ქართულმა ბერძნული ო ბგერგან ღ-თი გადმოსცა: პითაღორა, ლიკურღოსი, მაღნისია. მაგრამ მეორე შემთხვევაშიც ღ არ გამოხატავდა ზედმიწევნით პირველი ო-საგან განსხვავებულ მეორე ო-ს და ამიტომ შემდეგ ხანებში ორივე ო-ს გადმოცემა ერთმანეთში აირია.

კარგა ხანია ქართულ ენაში განიანი ფორმებია გაბატონებული და ეს გ გამართლებულია ისტორიულადაც. ამიტომ უნდა დადასტურდეს ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე ო-ს შემცველი სიტყვების გ-თი გადმოცემა.

მაშასადამე, იხმარება და უნდა დარჩეს:

აგიტაცია	ღემოგრაფია
აგრონომია	ღიაგრამა
ალეგორია	ღიალოგი
ანაგრამა	ლოგარითმი
გენეალოგია	ლოგია
გენერალი	მეგალითები
გენეტიკა	მეგალომანია
გენიოსი	პედაგოგი
გეოგრაფია	პრაგმატიზმი
გეოლოგია	ტრაგედია
გეომეტრია	ტრაგიკული
გრამატიკა	ფსიქოლოგია
გუბერნატორი	ფრაგმენტი და სხვ.

5. ზ თუ ძ?

ქართულში (სამეცნიერო ტერმინოლოგიაში) გვხვდებოდა ორნაირი ფორმები:

ზოოლოგია და (იშვიათად)	ძოოლოგია
ზოოტექნიკა „ „	ძოოტექნიკა
პროტოზოა „ „	პროტოძოა და სხვ.

აქ ზ-თი და ძ-თი გადმოცემული იყო ბერძნული ζ (ლათ. z: zoologia). ძველ ბერძნულში ζ-ს გამოთქმა მართლაც უახლოვდებოდა ქართული ძ-ს გამოთქმას, ხოლო შემდეგ ხანებში როგორც ბერძნულში, ისე ლათინურში, მისი გამოთქმა დაემთხვა ზ-ს გამოთქმას. ეს უკანასკნელი გამოთქმა დაედვა საფუძვლად z-ს გადმოცემას ჯერ კიდევ ძველ ქართულში (ზაქარია, ზევხი, ზენონი, ზოდი-აკო, მონაზონი, ტრაპეზი და სხვ.). იგივე გამოთქმა და შესაბამისი დაწერილობა გაბატონდა ევროპულ ენებში (რუსულში, ფრანგულში, ინგლისურში).

ამის გამო ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვებში z-ს გადმოსაცემად უნდა იხმარებოდეს ზ (და არა ძ).

მაშასადამე, იხმარება და უნდა დარჩეს:

ზევგიტები	ზოოგეოგრაფია
ზეფირი	ზოოლოგია
ზიგოტები	ზოოტექნიკა
ზილოტები	ზოოქიმიია
ზონა	პროტოზოა და სხვ.

6. ჯ და ი

უშუალოდ ან ევროპული ენების მეშვეობით ქართულში შემოსულია არაერთი ბერძნული და ლათინური სიტყვა, რომლებშიც გვხვდება ბერძნულში α, ლათინურში y. ძველი ქართული ამ ბგერის გადმოსაცემად იყენებდა ჯ-ს (ჯმატოსი, ჯრკანია და სხვ.). უფრო გვიან ხანებში, როდესაც თვით ბერძნულში α-ს გამოთქმა ი-სას დაემთხვა, ქართულიც გადმოსცემდა მას ინით, გარდა ზოგიერთი შემთხვევისა, რომლებშიც ბერძნულის ძველი α-ს გადმოსაცემად ქართულში უკვე ვი დამკვიდრდა (კვიპაროსი, კვიპროსი, კვირიკე და სხვ.).

ვინაიდან თვით ბერძნულში საკმაოდ ადრე მოხდა α-ს ი-დ ქცევა და ქართულშიც ი-ს გამოთქმა შეითვისა მეტწილად, გარდა ამისა თანამედროვე ქართულს α-ს შესატყვისი არ მოეპოვება, ხოლო ამას ყველაზე უფრო უახლოვდება ი, ამიტომ ბერძნული α-სა და ლათინური y-ს შემცველი სიტყვები უნდა გადმოიცეს ინით.

მაშასადამე, იქნება:

დიონისე	ლიკურგოსი
ესქილე	ოდიხევხი
თეოფილაქტე	პოლიკარპე
იპოლიტე	ჰიპოთეზა
კიროსი	ჰიპერბოლა და სხვ.
სინდისი	

გამონაკლისის სახით დარჩება უკვე დამკვიდრებული ვი სიტყვებში: კვი-
პაროსი, კვიპროსი, კვირიკე.

7. ე

ბერძნული ე (ე) ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებშივე ინად იქცა და ძველმა ქართულმაც ე-ს შემცველი სიტყვები მეტწილად ინით გადმოგვცა (გარდა უძველეს პერიოდში შეთვისებული სიტყვებისა, როგორცაა: ეკლესია, მონასტერი, კერიონი, ეპისტოლე).

მაგრამ იმ უცხო სიტყვებში, რომლებიც გავრცელებულია ლათინურის წყა-
ლობით და რომელთაც შერჩა ძველი გამოთქმა ე, ყველა ენაში მიღებულ იქნა
ბერძნული ე-ს გადმოცემა ე-თი. ასეთი სიტყვები ქართულშიც ე-თი არის გად-
მოსული და ასევე უნდა დარჩეს.

მაშასადამე, დარჩება:

ალეგორია	კატეგორია
არქიმედე	პრობლემა
დემოკრიტი	სქემა
დემოსთენე	ჰერაკლე
ემბლემა	ჰეროდოტე
ზენონი	ჰომეროსი
თეზევსი	ჰეგემონია...

გამონაკლისს წარმოადგენს სიტყვა $\chi\eta\mu\alpha\iota\alpha$, სადაც უკვე დამკვიდრებულია
ი (ქიშია), აგრეთვე რიტორიკა და რამდენიმე საკუთარი სახელი, რომლებშიც
შენარჩუნებულია ი: დიმიტრი, მიტროფანე.

8. დიფთონგები აი, ეი

დიფთონგები აი და ეი საშუალ ბერძნულში, რომლის ფორმების გავლენით
შემოდრიდა ქართულში ბერძნული და ლათინური სიტყვები, მონოფთონგებად
იქცნენ (აი=ე, ეი=ი). გარდა ამისა, ლათინურმაც ისინი მიახლოებით ე-თი (ae)
და ი-თი (i, ზოგჯერ e) გადმოსცა.

ქართულში უნდა დადასტურდეს აი და ეი დიფთონგების შემცველ სიტყვა-
თა ე-თი და ი-თი გადმოცემა; მაშასადამე, დარჩება:

აი: ესომე	ეი: არისტიდე
ენეასი	ემპირია
ესქილე	ეკლოდე
ეტოლია	თერაპია
ესთეტიკა...	ირინე...

9. ევ—ეი—ეუ, ავ—აუ

1. არევ-დარევა დიფთონგ ეა-ს გადმოცემის საკითხში: იხმარება ლევკოცი-
ტიბი და ლეიკოციტიბი, დევტეროგამია და დეიტეროგამია...

დიფთონგი ეა იმ ენების გამოთქმაში, საიდანაც მომდინარეობს ეა-ს შემც-
ველი სიტყვები, უდრიდა ეუ-ს, სადაც უ უმარცვლო ბგერას წარმოადგენს. ახალ
ქართულში უმარცვლო უ შეცვალა ვ-მ.

ამიტომ, ბუნებრივია, ქართულში ყველა eu დიფთონგის შემცველი სიტყვა დაიწეროს ევ-ით და არა ეი-თ ან ეუ-თი.

მაშასადამე, უნდა იხმარებოდეს: დევტეროგამია, ევრობა, ზევვითები, ლევკემია, ლევკოციტები, ნევრალგია.

შენიშვნა: ევ-ის ნაცვლად ეი დარჩება სიტყვაში ნეიტრალური, სადაც ეი გამოთქმაა გაბატონებული.

2. eu დიფთონგის ანალოგიურია au დიფთონგი, რომელიც უნდა დაიწეროს ავ-ით (და არა აუ-თი).

მაშასადამე, დარჩება: ავტოგამია, ავტონომია, ტავტოლოგია და არა: აუტონომია, ტაუტოლოგია და სხვ.), მაგრამ: აუდიტორია.

10. კვ—ქვ

კვ გვხვდება ლათინურიდან (გერმანულ-რუსული გზით) მომდინარე სიტყვებში და უდრის qu-ს ხმოვნის წინ. ასეთი სიტყვები ქართულ სალიტერატურო ენაში ასე იწერებოდა: კვადრატი, კვალიფიკაცია, ლიკვიდაცია და სხვ., მიუხედავად ამისა, ერთხანს გავრცელდა ფორმები: აქვარელი, ქვალიტი, ლიქვიდაცია და სხვ. მაგრამ ჩვენს შემთხვევაში (qu) ისეთ კ ბგერასთან გვაქვს საქმე, რომლის ქ-თი გადმოცემას არავითარი საფუძველი არა აქვს.

ძველ ლათინურს მოეპოვებოდა სამი ხორხისმიერი ბგერა: q, k, c. პირველი (q) გვხვდება i-სა და u-ს წინ და უფრო ღრმა ხორხისმიერი იყო; მეორე a-სა და თანხმოვნების წინ იხმარებოდა, ხოლო მესამე e-სა და i-ს წინ იხმარებოდა (ეს შეიძლება უფრო ქ-ს შესატყვისი ყოფილიყო). კლასიკურმა ლათინურმა დამწერლობაში გააერთიანა სამივე კ და წერდნენ ყველა სამივე სახის კ-სთვის ასო c-ს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კუ კომპლექსს ხმოვნის წინ, სადაც უ თანხმოვნური (ვ) გამხდარიყო, დაუტოვა დაწერილობა qu. აქ q ყოველთვის იყო ღრმა ხორხისმიერი ბგერა და ქ-ს გამოთქმას ის დიდად არის დაშორებული.

ამის გამო qu კომპლექსი უნდა გადმოიცეს კვ (და არა ქვ) კომპლექსით. მაშასადამე, უნდა იხმარებოდეს:

ადეკვატი	კვალიფიკაცია
ადეკვატური	კვანტიტეტი
აკვარელი	კვარტალი
აკვარიუმი	კვეტორი
ანტიკვარული,	კვიტიზმი
ეკვატორი	კვინტა
ეკვივალენტი	კვორუმი
ეკვილიბრისტიკა	ლიკვიდაცია
კვადრატი	რეკვიზიცია და სხვ.
კვალიტი	

შენიშვნა. ქვ გამოთქმა და დაწერილობა გამართლებული იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ კვ კომპლექსი ქართულისათვის უჩვეულო ყოფილიყო, მაგრამ ქართულისათვის სრულიად ბუნებრივია კვ (კვალი, კვლევა, ხიკვდილი და სხვ.).

11. კს (cs, x)—პს (ps) თუ ქს—ფს?

კს (cs, x) და პს (ps) კომპლექსების შემცველ ბერძნულიდან მომდინარე სიტყვებში ეს კომპლექსები ძველ ქართულში **ქს** და **ფს** კომპლექსებით გადმოცემოდა და ასეთი გადმოცემა გაბატონებულია დღესაც.

ძველ ქართულში გვქონდა:

ექსორია	ბელოფსი
მაქსიმე	ხამფსონი
ოქსია	ფხალმუნნი...
ქსეხტი	

ამის მიხედვით გვაქვს და დარჩება:

ელიფსი: ელიფსური
კაფსული
ფხეფდონიში
ფხიქოლოგია და სხვ.

ცალკე უნდა გამოიყოს რამდენიმე სიტყვა, როგორცაა: **ეგზამენი**, **ეგზემპლარი**, **ეგზოტიკა**, **ეგზოგამია**, **ჰეგზამეტრი**.

ეგზამენი და **ეგზემპლარი** უნდა დარჩეს ამ დაწერილობით, მაგრამ პირველი უნდა შეცვალოს **გამოცდა-მ**, ხოლო მეორის ნაცვლად უფრო უნდა გავრცელდეს მისი ბადალი სიტყვა **ცალი**.

ეგზოტიკა და **ეგზოგამია** უნდა დარჩეს ამ დაწერილობით, ხოლო **ჰეგზამეტრის** პარალელურად შეიძლება იხმარებოდეს **ჰექსამეტრი-ც**.

12. ქტ თუ კტ?

ct კომპლექსის დაწერილობაში ძველი ქართული მერყეობს: ლიტერატურული გზით მომდინარე სიტყვებში **კტ** კომპლექსი ხშირად დაცულია (**ნექტარი**, **ოქტავიონი...**), მაგრამ ზეპირი გზით შემოსული და ქართულში დამკვიდრებული **ქტ** კომპლექსიანი სიტყვები გადმოცემულია სხვადასხვანაირად (**დიქტატორი**, **„დიქტატორი“**, **ოქდონხერი...**), უფრო ხშირად კი ამ კომპლექსის **კ** ბერძნულთან **ქ**-თი (**ინდიქტიონი**, **მენექტარება...**).

კტ (ct) კომპლექსის შემცველი სიტყვები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გადმოცემულია და უნდა დარჩეს **ქტ**-თი:

დიქტატორი
ინდიქტიონი
ოქტომბერი...

13. პტ თუ ფტ?

პტ (pt) კომპლექსშიც მოსალოდნელი იყო იგივე სურათი, როგორც ct-სთან გვაქვს. მართლაც, ძველმა ქართულმა pt-ს თავიდან ასაცილებლად შეცვალა იგი **ქტ**-თი („**ხეპტემბერი**“→**ხექტემბერი**). მაგრამ, რადგანაც არც ძველსა და არც ახალ ქართულს არ ახასიათებს პ-ს გაფშვინვიერება **პტ** კომპლექსში (**სკიპტრა**, **პტოლემეოსი**, **ტრიპტოლემოსი...**), ამიტომ უნდა დარჩეს pt კომპლექსის გადმოცემა **პტ**-თივე.

შენიშვნა. ზემოთ გათვალისწინებული წესები უნდა გავრცელდეს **ქბ, ქტ, ფხ, პტ** კომპლექსების შემცველ იმ სიტყვებზედაც, რომლებიც შემოსულია ან შემოდის ქართულში ევროპული ენებიდან რუსული ენის მეშვეობით. მაშასადამე, უნდა იწერებოდეს:

აქტი	აქსიომა...	სკიპტრა...
რედაქტორი	ფსამეტიზი	
ფაქტი...	ფსიქოლოგია...	

14. კც—ქც

ევროპული ენებიდან შემოსულია რუსული ენის მეშვეობით **кц** კომპლექსის შემცველი სიტყვები. ეს კომპლექსი წარმოდგარია **ct** კომპლექსისაგან მეორე მკვეთრის პალატალიზაციით **i**-ს წინ. რამდენადაც კომპლექსის პირველი ელემენტი (**c**) იგივე რჩება, ამდენად კომპლექსი გადმოიცემა **ქც**-თი (**აქცია, კონსტრუქცია, რედაქცია**).